

მშობელი, როგორც უფლებადამცველი

ცირა ბარჯაია, MPhil
2016

- რატომ, - მშობელი, როგორც უფლებადამცველი?
- როგორია მშობლის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის უფლებათა ადვოკატირებასა და ქომაგობაში?
- რა სჭირდება მშობელს, რომ იყოს შვილის საჭიროებების შესაბამისი, მისი საუკეთესო ინტერესის უფლებადამცველი?

რატომ მშობელი, როგორც უფლებადამცველი?

- მშობლები შვილების საუკეთესო ადვოკატები არიან თუ ისინი, რა თქმა უნდა, აქტიურები და ინფორმირებულები არიან;
- ბოლო 20 წლის კვლევებმა ცხადყო, რომ მშობლის აქტიური ჩართულობა ერთი ორად ზრდის მოსწავლის მოსწრებას;
- მშობლები სოციალური და ლეგალური პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან;
- მშობლებს შეუძლიათ აკონტროლონ მოსწავლეთა ემოციები;
- მშობლები არიან მეთვალყურეები, რომელთაც თავიანთი შვილისთვის საუკეთესო სურთ და საუკეთესოს მოითხოვენ კიდევ!
- მშობლები შეიძლება იყვნენ საუკეთესო მრჩეველები, რადგან მშობლები ხშირად არ იწვევენ ინტერესს და კონფლიქტს პროფესიონალები ხშირად სიტყვის თავისუფლებას სთავაზობენ.

- ხშირად ბავშვებმა, მშობელთა ეფექტური ადვოკატირების გარეშე, შესაძლოა ვერ მიიღონ შესაბამისი განათლება.
- გამოკვეთა 4 ტიპური მიზეზი, რის გამოც ბავშვთა უფლებები, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, ხშირად უარყოფილია (Schloss, 1994):

- არსებობს ისეთი მდგომარეობა ან გარემოება, რომლისთვისაც არ არსებობს სამართლებრივი პრეცედენტი
- ხელმისაწვდომობის სიმცირე, მომუშავე პირთა დაბალი კომპეტენცია მოახდინონ თვით-ადვოკატირება, ან მიმართონ შესაბამის სამსახურს, რათა უზრუნველყონ ბავშვის უფლებების რეალიზება.
- უფლებების დარღვევა, მხოლოდ იმის გამო, რომ ინფორმაცია ვერ აღწევს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე თუ ოჯახამდე
- უარის თქმა უფლებებზე იმის გამო, რომ არ ასებობს რწმენა, ძალისხმევა საგანმანათლებლო მომსახურების შექმნა/ განვითარებაზე.

IDEA და CRPD

- IDEA მშობლებს ხედავს როგორც ერთ-ერთ მთავარ ადვოკატორების მწარმოებელს;
- IDEA უფლებას აძლევს მშობლებს ჩაერთონ საგანმანათლებლო გადაწყვეტილებებში, რათა ჩამოყალიბდეს და სრულყოფილი სახე მიეცეს უფლებებს;
- მშობელმა უნდა შეცვალოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროგრამა თუ თვლის, რომ იგი არ არის შესაფერისი.
- მოახდინოს რეაგირება, რომ მისმა შვილმა მიიღოს საჭიროების შესაბამისი განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მომსახურება;
- მოითხოვოს ხელახალი შეფასება თუ ფიქრობს, რომ მიღებული სერვისი მიუღებელია მისთვის;
- გამოყოს პროგრამაში არსებული პრიორიტეტები თავისი შვილისთვის
- მოითხოვოს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო შეფასება, თუ მშობელი წინააღმდეგია არსებულის გადახედოს მოსწავლის საგანმანათლებლო მიღწევებს
- CRPD ყურადღებას ამახვილებს მშობლის, როგორც მშობლის როლზე და ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული მის როლზე, როგორც უფლებადამცველზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობა ინკლუზიურ განათლებაში (გელბაქიძე, შერბაკოვა, 2016)

- რაც უფრო ინფორმირებულია მშობელი, მით უფრო აქტიურადაა ჩართული, უფრო ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას „მოითხოვს“ მისი შვილისთვის
- საბოლოო ჯამში მაღალია ბავშვის ჩართულობა
- რაც უფრო დაბალია მშობლის ინფორმირებულობა და რაც უფრო ნაკლებია სისტემური მხარდაჭერა მით უფრო მეტად „მხოლოდ მადლიერია“ მშობელი.

ქალაქი ტყიბული

- სკოლა საკმარისს აკეთებს მათი შვილებისათვის;
- მშობლის ფუნქცია- მოტივაციის ამაღლება საკუთარი შვილისათვის;

ქალაქი თბილისი

- კვალიფიციური კადრები, მიმღებლობის მაღალი ხარისხი, ადაპტირებული გარემო, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.
- მხოლოდ მშობლის მოტივაცია არაა საკმარისი.

ხშირად მოსმენილი უკუკავშირი
პრაქტიკოსებისგან: მასწავლებლებისგან,
ადმინისტრატორებისგან..

- „ნეტავ ამ ტრენინგს მშობელიც ისმენდეს, ხომ ეცოდინებოდა რა მოგვთხოვოს”...

ორმხრივი ზრდის საჭიროება

პრაქტიკოსი თანამშრომლების გარდაუვალი კომპეტენცია უნდა იყოს ადვოკატირების წარმოება. ბავშვისთვის მომსახურების მიწოდებისას უფლებების რეალიზებაზე დაფუძნებული მიდგომის გააზრება

მშობლის ინფორმირებულობისა და ცოდნის გაზრდა გარდამტეხია, რომ გაუმჯობესდეს არა მხოლოდ მისი შვილის, არამედ ყველა სხვა ბავშვის უფლებების სისტემურად და ეფექტიანად რეალიზების შესაძლებლობა



მადლობთ ყურადღებისათვის